# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 2

„27" იანვარი 2023 წ

ქ. თბილისი

### ქალაქ თბილისში, სანქტ-პეტერბურგის ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.05.002.019.01.544) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას "ქალაქ თბილისში, სანქტ-პეტერბურგის ქუჩა №3-ში (საკადასტრო კოდი: №01.16.05.002.019.01.544) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 დეკემბრის №22.2106.2209 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, სანქტ-პეტერბურგის ქუჩა №3-ში მესამე სართულზე მდებარე 57.33 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.16.05.002.019.01.544) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, მოქალაქე მარინე ივანიშვილის (პ/ნ. 01030036148) და ნანული ივანიშვილისთვის (პ/ნ. 01030043186) თანასაკუთრებაში გადაცემის საკითხი და მათთან გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე